ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის!

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

# მებრძოლი

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი

Красноармейская газета Закфронта «Боец РККА» на грузинском языке

№ 70 (330) | ოთხშაბათი, 13 ივნისი | 1945 წ.

## პრეზიდენტს ბატონ ჰ. ტრუმენს

თეთრი სახლი, ვაშინგტონი

აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარებისათვის გამოსაყენებელი პრინციპების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების დადების მესამე წლისთავის დღეს, გთხოვთ თქვენ და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიიღოთ მადლობა საბჭოთა მთავრობისაგან და პირადად ჩემგან.

ამ შეთანხმებამ, რომლის საფუძველზეც ამერიკის შეერთებული შტატები ევროპაში მთელი ომის მანძილზე აწვდიდნენ საბჭოთა კავშირს ლენდ-ლიზის წესით საჭურველს, სტრატეგიულ მასალასა და სურსათს, დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა და მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი საერთო მტრის — ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის წარმატებით დამთავრებას.

მტკიცე რწმენას გამოვთქვამ, რომ ერთობლივი ბრძოლის დროს განმტკიცებული მეგობრული კავშირი საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შემდგომშიც წარმატებით განვითარდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა შორის მტკიცე თანამშრომლობის ინტერესებისათვის.

ი. სტალინი

## ბატონ სტეტინიუსს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს

სან-ფრანცისკო

აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარებისათვის გამოსაყენებელი პრინციპების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების დადების მესამე წლისთავთან დაკავშირებით გითვლით საუკეთესო სურვილებსა და მადლობას.

ამ დღეს განსაკუთრებით შესაფერისი იქნება გავიხსენოთ, რომ თქვენ, როგორც იჯარით ან სესხად საჭურვლის გადაცემის პროგრამის განხორციელების სამმართველოს გამოჩენილმა ხელმძღვანელმა, ესოდენ ბევრი რამ გააკეთეთ წითელი არმიის მომარაგებისათვის იარაღით, სტრატეგიული მასალითა და სურსათით. ამ დახმარების ოდენობამ და მთელი ამ საქმის კარგმა ორგანიზაციამ უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჰიტლერული გერმანიის განადგურებაში.

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებისა და არმიების ერთობლივმა ბრძოლამ ევროპაში ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ შექმნა პირობები ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

ვ. მოლოტოვი

## ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### წითელი არმიის გენერლების სუვოროვის I ხარისხის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

უმაღლესი მთავარსარდლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

**სუვოროვის I ხარისხის ორდენით**

არმიის გენერალი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ბულგანინი**

გენერალ-პოლკოვნიკი სერგი მათეს-ძე **შტემენკო**

გენერალ-პოლკოვნიკი თევდორე ფედოტეს-ძე **კუზნეცოვი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 4 ივნისი.

## გვარდიის პოლკოვნიკ ი. დ. ბაჩაკაშვილის დაჯილდოება

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გვარდიის პოლკოვნიკი **იოსებ დავითის-ძე ბაჩაკაშვილი** დაჯილდოებულია **სუვოროვის მე-2 ხარისხის** ორდენით.

## მოსკოვს ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი სამოკავშირეთაშორისო სარეპარაციო კომისიაში ბ-ნი ე. პოული

11 ივნისს, მოსკოვს ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი სამოკავშირეთაშორისო სარეპარაციო კომისიაში, რომელიც ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მოსკოვში მუშაობს, ელჩი ე. პოული მეუღლითურთ, აგრეთვე მისი თანაშემწე დოქტორი ი. ლიუბინი და მათი თანმხლები ექსპერტები და მრჩევლები.

ჩამომსვლელთ აეროდრომზე შეხვდნენ სსრ კავშირის წარმომადგენელი სამოკავშირეთაშორისო სარეპარაციო კომისიაში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ი. მ. მაისკი მეუღლითურთ, ფ. ფ. მოლოჩკოვი, ვ. ი. ბაზიკინი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ე. ი. ბაბარინი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი მოსკოვში ბ-ნი ა. ჰარიმანი, სსრ კავშირში ამერიკის სამხედრო მისიის მეთაური გენერალ-მაიორი ჯ. დინი, კონტრ-ადმირალი ოლსენი, მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წევრები და სხვები. (ტასსი).

## ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მედლების „ბუდაპეშტის აღებისათვის“, „კენიგსბერგის აღებისათვის“, „ვენის აღებისათვის“ და „ბერლინის აღებისათვის“ დაწესების შესახებ

1. დაკმაყოფილებულ იქნას სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა და დაწესდეს სპეციალური მედლები „ბუდაპეშტის აღებისათვის“, „კენიგსბერგის აღებისათვის“, „ვენის აღებისათვის“ და „ბერლინის აღებისათვის“.

2. დაჯილდოებულ იქნან მედლებით „ბუდაპეშტის აღებისათვის“, „კენიგსბერგის აღებისათვის“, „ვენის აღებისათვის“ და „ბერლინის აღებისათვის“ ბუდაპეშტის, კენიგსბერგის, ვენისა და ბერლინის გმირული იერიშისა და აღების ყველა უშუალო მონაწილე, აგრეთვე ამ ქალაქების აღებისას საბრძოლო ოპერაციების ორგანიზატორები და ხელმძღვანელები.

3. დამტკიცდეს დებულება მედლებისა „ბუდაპეშტის აღებისათვის“, „კენიგსბერგის აღებისათვის“, „ვენის აღებისათვის“ და „ბერლინის აღებისათვის“.

4. დამტკიცდეს ნიმუშები და აღწერილობა მედლებისა „ბუდაპეშტის აღებისათვის“, „კენიგსბერგის აღებისათვის“, „ვენის აღებისათვის“ და „ბერლინის აღებისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 9 ივნისი.

## დებულება

### მედლებისა „ბუდაპეშტის აღებისათვის“, „კენიგსბერგის აღებისათვის“, „ვენის აღებისათვის“ და „ბერლინის აღებისათვის“

1. მედლებით „ბუდაპეშტის აღებისათვის“, „კენიგსბერგის აღებისათვის“, „ვენის აღებისათვის“ და „ბერლინის აღებისათვის“ ჯილდოვდებიან წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარების სამხედრო მოსამსახურენი — ბუდაპეშტის, კენიგსბერგის, ვენისა და ბერლინის გმირული იერიშისა და აღების უშუალო მონაწილენი, აგრეთვე ამ ქალაქების აღებისას საბრძოლო ოპერაციების ორგანიზატორები და ხელმძღვანელები.

2. მედლების გადაცემა სწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ აღნიშნული ქალაქების იერიშსა და აღებაში ფაქტიურ მონაწილეობას, და რომლებსაც გასცემენ ნაწილების მეთაურები და სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებათა უფროსები.

მედლებს გადასცემენ:

იმ პირებს, რომლებიც წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჯარის ნაწილებში იმყოფებიან — ჯარის ნაწილების მეთაურები, ხოლო იმ პირებს, რომლებიც არმიისა და ფლოტის შემადგენლობიდან გავიდნენ, — საოლქო, საქალაქო და რაიონული სამხედრო კომისრები დაჯილდოებულთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. მედლებს „ბუდაპეშტის აღებისათვის“, „კენიგსბერგის აღებისათვის“, „ვენის აღებისათვის“ და „ბერლინის აღებისათვის“ ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეზე.

თუ დაჯილდოებულს აქვს ორდენები და სხვა მედლები, ზემოაღნიშნული მედლები (ან მათი ლენტები უმედლოდ ტარების შემთხვევაში) თავსდებიან მედალ „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ შემდეგ მარცხნიდან მარჯვნივ შემდეგი რიგით: „ბუდაპეშტის აღებისათვის“, „კენიგსბერგის აღებისათვის“, „ვენის აღებისათვის“ და „ბერლინის აღებისათვის“.

## აღწერილობა

### მედლისა „ბუდაპეშტის აღებისათვის“

მედალი მრგვალია, 32 მმ დიამეტრით, კეთდება თითბრისაგან.

მედლის წინა მხარეზე არის: ცენტრში წარწერა „ბუდაპეშტის აღებისათვის“, წარწერის თავზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ხოლო ქვემოთ ნამგლისა და ურის გამოსახულება ორ გადაჯვარედინებულ დაფნის შტოზე. მედალს შემოვლებული აქვს ქობა.

მედლის მეორე მხარეზე არის ბუდაპეშტის აღების თარიღი: „1945 13 თებერვალი“, თარიღის თავზე — ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

ყველა გამოსახულება და წარწერა მედალზე ამოზნექილია.

მედალი ყუნწითა და რგოლით შეერთებულია ხუთკუთხიან კალაპოტთან, რომელსაც გადაკრული აქვს 24 მმ სიგანის ნარინჯისფერი აბრეშუმის მუარის ლენტი, ლენტს შუაში აქვს 8 მმ სიგანის ცისფერი ზოლი.

## აღწერილობა

### მედლისა „კენიგსბერგის აღებისათვის“

მედალი მრგვალია, 32 მმ დიამეტრით, კეთდება თითბრისაგან.

მედლის წინა მხარეზე არის: ცენტრში წარწერა „კენიგსბერგის აღებისათვის“, ზემოთ წარწერის თავზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ქვემოთ დაფნის შტო. მედალს შემოვლებული აქვს ქობა.

მედლის მეორე მხარეზე არის კენიგსბერგის აღების თარიღი: „1945 10 აპრილი“, თარიღის თავზე — ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

ყველა გამოსახულება და წარწერა მედალზე ამოზნექილია.

მედალი ყუნწითა და რგოლით შეერთებულია ხუთკუთხიან კალაპოტთან, რომელსაც გადაკრული აქვს 24 მმ სიგანის აბრეშუმის მუარის ლენტი. ლენტი შედგება ერთიმეორის მონაცვლე ხუთი ზოლისაგან: სამი ზოლი შავი და ორი კი — მწვანე. ნაპირებზე ლენტს შემოვლებული აქვს ვიწრო მწვანე ზოლი.

## აღწერილობა

### მედლისა „ვენის აღებისათვის“

მედალი მრგვალია, 32 მმ დიამეტრით, კეთდება თითბრისაგან.

მედლის წინა მხარეზე არის: ცენტრში წარწერა „ვენის აღებისათვის“, ზემოთ ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ქვემოთ დაფნის შტო. მედალს შემოვლებული აქვს ქობა.

მედლის მეორე მხარეზე არის ვენის აღების თარიღი: „1945 13 აპრილი“, თარიღის თავზე — ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

ყველა გამოსახულება და წარწერა მედალზე ამოზნექილია.

მედალი ყუნწითა და რგოლით შეერთებულია ხუთკუთხიან კალაპოტთან, რომელსაც გადაკრული აქვს 24 მმ სიგანის ცისფერი აბრეშუმის მუარის ლენტი. ლენტს შუაგულში აქვს 8 მმ სიგანის ლურჯი ზოლი.

## აღწერილობა

### მედლისა „ბერლინის აღებისათვის“

მედალი მრგვალია, 32 მმ დიამეტრით, კეთდება თითბრისაგან.

მედლის წინა მხარეზე არის: ცენტრში წარწერა „ბერლინის აღებისათვის“, ზემოთ წარწერის თავზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ქვემოთ რტოებზე მუხის ფოთლების ნახევარრკალი. მედალს შემოვლებული აქვს ქობა.

მედლის მეორე მხარეზე არის ბერლინის აღების თარიღი: „1945 2 მაისი“, თარიღის ქვეშ — ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

ყველა გამოსახულება და წარწერა მედალზე ამოზნექილია.

მედალი ყუნწითა და რგოლით შეერთებულია ხუთკუთხიან კალაპოტთან, რომელსაც გადაკრული აქვს 24 მმ სიგანის წითელი აბრეშუმის მუარის ლენტი. ლენტის შუაგულში არის ხუთი ზოლი: სამი შავი და ორი ნარინჯისფერი. ნაპირებზე ლენტს შემოვლებული აქვს ვიწრო ნარინჯისფერი ზოლები.

# დიდება საბჭოთა მეცნიერებს—სოციალისტური შრომის გმირებს!

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**აკადემიკოს ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ბაიკოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

მეტალურგიის, ლითონთა ქიმიისა და მეტალოგრაფიის მეცნიერული საფუძვლების შექმნის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, აგრეთვე მეტალურგთა საბჭოთა სკოლის შექმნაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის აკადემიკოს ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **ბაიკოვს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება, გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 10 ივნისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**აკადემიკოს ივანე პავლეს-ძე ბარდინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

უდიდესი მეტალურგიული ქარხნების დაპროექტების, მშენებლობისა და ათვისების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და შავი მეტალურგიის დარგში მეცნიერული მიღწევებისათვის აკადემიკოს ივანე პავლეს-ძე **ბარდინს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება, გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 10 ივნისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**აკადემიკოს ალექსი ნიკოლოზის-ძე ბახისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

ბიოქიმიის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, კერძოდ ფერმენტების ქიმიისა და ნელი ჟანგვის რეაქციათა თეორიის დამუშავებისათვის, აგრეთვე მეცნიერული ბიოქიმიური სკოლის შექმნისათვის აკადემიკოს ალექსი ნიკოლოზის-ძე **ბახს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება, გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 10 ივნისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**აკადემიკოს ივანე მათეს-ძე ვინოგრადოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

მათემატიკის დარგში თვალსაჩინო მეცნიერული დამსახურებისათვის, რიცხვთა თეორიის მძლავრი ანალიზური მეთოდების დამუშავებისა და მათემატიკოსთა კადრების მომზადების დარგში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის აკადემიკოს ივანე მათეს-ძე **ვინოგრადოვს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება, გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 10 ივნისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**აკადემიკოს ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ზელინსკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

არაორგანული ქიმიის დარგში თვალსაჩინო მეცნიერული მიღწევებისათვის, კერძოდ კონტაქტურ-კატალიზური პროცესების გამოკვლევისათვის, და ქიმიკოსთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების დარგში დიდი დამსახურებისათვის აკადემიკოს ნიკოლოზ დიმიტრის-ძე **ზელინსკის** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება, გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 10 ივნისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**აკადემიკოს ტროფიმე დენისის-ძე ლისენკოსათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების, განსაკუთრებით კარტოფილისა და ფეტვის მოსავლიანობის გადიდების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის აკადემიკოს ტროფიმე დენისის-ძე **ლისენკოს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება, გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 10 ივნისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**აკადემიკოს ივანე ივანეს-ძე მეშჩანინოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

ფილოლოგიურ მეცნიერებათა, რუსული ენის სინტაქსისა და მორფოლოგიის გამოკვლევის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, აგრეთვე ფილოლოგთა კადრების მოსამზადებლად მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის აკადემიკოს ივანე ივანეს-ძე **მეშჩანინოვს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება, გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 10 ივნისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**აკადემიკოს ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

მექანიკის დარგში, განსაკუთრებით დრეკადობის თეორიაში თვალსაჩინო მეცნიერული დამსახურებისათვის, აგრეთვე მეცნიერული კადრების მოსამზადებლად მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის აკადემიკოს ნიკოლოზ ივანეს-ძე **მუსხელიშვილს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება, გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 10 ივნისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**აკადემიკოს ვლადიმერ ათანასეს-ძე ობრუჩევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

გეოლოგიის დარგში თვალსაჩინო მეცნიერული მიღწევებისათვის, განსაკუთრებით ციმბირისა და ცენტრალური აზიის გეოლოგიის გამოკვლევისათვის, მადნის საბადოთა ტექტონიკის თეორიული დამუშავებისათვის, მუდმივი გაყინულობის ახალი მეცნიერების საფუძველთა შექმნისათვის, აგრეთვე გეოლოგთა კადრების მოსამზადებლად მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის აკადემიკოს ვლადიმერ ათანასეს-ძე **ობრუჩევს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება, გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 10 ივნისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**აკადემიკოს ლეონ აბგარის-ძე ორბელისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

ნერვული სისტემის და უმაღლესი ნერვული მოქმედების ევოლუციური ფიზიოლოგიის დარგში თვალსაჩინო მეცნიერული მიღწევებისათვის, აგრეთვე მაღალკვალიფიციური კადრების, განსაკუთრებით სამხედრო-სამედიცინო კადრების მოსამზადებლად მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის აკადემიკოს ლეონ აბგარის-ძე **ორბელს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება, გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 10 ივნისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**აკადემიკოს მიხეილ ალექსანდრეს-ძე პავლოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

მეტალურგიის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, საბრძმედო პროცესის თეორიის დამუშავებისათვის და საბჭოთა მებრძმედეების მომზადების დარგში მრავალი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის აკადემიკოს მიხეილ ალექსანდრეს-ძე **პავლოვს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება, გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 10 ივნისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**აკადემიკოს დიმიტრი ნიკოლოზის-ძე პრიანიშნიკოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

მცენარეთა აგროქიმიისა და ფიზიოლოგიის განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად მრავალი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, აგრეთვე აგროქიმიკოსთა საბჭოთა სკოლის შექმნისათვის აკადემიკოს დიმიტრი ნიკოლოზის-ძე **პრიანიშნიკოვს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება, გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 10 ივნისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**აკადემიკოს ალექსი ევგრაფის-ძე ფავორსკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

ორგანული ქიმიის დარგში თვალსაჩინო მეცნიერული მიღწევებისათვის, კერძოდ მთელი რიგი ახალი ორგანული შენაერთების სინთეზისათვის, აგრეთვე ქიმიკოსთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის აკადემიკოს ალექსი ევგრაფის-ძე **ფავორსკის** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება, გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 10 ივნისი.




## გერმანიის ოკუპაციის ზონათა სქემის შენიშვნები

1. სსრ კავშირის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობათა შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები იკავებენ გერმანიის ტერიტორიას (აღმოსავლეთ პრუსიის პროვინციის ჩათვლით), რაც მდებარეობს იმ ხაზის აღმოსავლეთით, რომელიც გადის ლიუბეკის ყურის ნაპირზე მდებარე პუნქტიდან, სადაც ერთდება შლეზვიგ-ჰოლშტაინისა და მეკლენბურგის საზღვრები, მეკლენბურგის დასავლეთ საზღვრის გაყოლებით ჰანოვერის პროვინციის საზღვრამდე, შემდეგ ჰანოვერის აღმოსავლეთ საზღვრის გაყოლებით ბრაუნშვაიგის საზღვრამდე, შემდეგ პრუსიის პროვინცია საქსონიის დასავლეთ საზღვრის გაყოლებით ანჰალტის დასავლეთ საზღვრამდე, შემდეგ ანჰალტის დასავლეთ საზღვრის გაყოლებით, შემდეგ პრუსიის პროვინცია საქსონიის დასავლეთ საზღვრისა და ტიურინგიის დასავლეთ საზღვრის გაყოლებით იქამდე, სადაც იგი ბავარიის საზღვარს გადაჰკვეთს, შემდეგ აღმოსავლეთით ბავარიის ჩრდილოეთ საზღვრის გაყოლებით ჩეხოსლოვაკიის 1937 წლის საზღვრამდე. ბერლინის რაიონისათვის გათვალისწინებულია ოკუპაციის განსაკუთრებული წესი.

ზემოთმოყვანილ სქემაზე ცხადია, რომ ამჟამად გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის ნაწილი ჯერ კიდევ უკავიათ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებს.

2. მოკავშირეთა (ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი) საოკუპაციო ზონები ჯერ კიდევ არ არიან გამიჯნული იმის გამო, რომ ამ საკითხის განხილვა ევროპის საკონსულტაციო კომისიის ლონდონში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

3. სქემაზე ნაჩვენებია „დიდი ბერლინის" რაიონი; იგი უნდა გაიყოს ოკუპაციის ოთხ ზონად, რომლების დადგენა ჯერ კიდევ განსახილველად აქვს ზემოხსენებულ ევროპის საკონსულტაციო კომისიას.

ამჟამად „დიდი ბერლინის" რაიონში განლაგებული არიან მხოლოდ საბჭოთა საოკუპაციო ჯარები.

# ტაქტიკურ მეცადინეობაზე

ასეულის მეთაურმა უფრ. ლეიტენანტმა მაჭავარიანმა საკომანდო პუნქტზე გამოუძახა ოცეულისა და მძარღამჭერი ქვეგანაყოფების მეთაურებს და თვითეულ მათგანს მისცა კონკრეტული ამოცანა. „მოწინააღმდეგეს" ეკავა თავდაცვა წინმდებარე გორაკზე, რომელიც ბუნებრივად ძნელად დასაძლევ დაბრკოლებას წარმოადგენდა. გარდა ამისა, თავდაცვის წინა კიდეზე „მოწინააღმდეგეს" განლაგებული ჰქონდა მრავალი ძელმიწური საცეცხლე წერტი, მავთულლობური, დანაღმული ველი და სხვ. ხელოვნური დაბრკოლებანი. ასეულის წინაშე იდგა ამოცანა მოცემული მიმართულებით ტანკებთან ერთად გადასულიყო შეტევაზე და გაენადგურებინა „მოწინააღმდეგე" ტრანშეებში.

ასეული ელოდა შეტევის ნიშანს. მეტყვიამფრქვევეებს გვარამაძესა და დემეტრაშვილს უთვალთვალებდნენ „მოწინააღმდეგის" საცეცხლე წერტილებისაკენ ჰქონდათ მიმართული, რათა შეტევის დაწყებისთანავე აემოქმედებინათ მოსპობი იარაღი.

ჰაერში გაიელვა სამმა წითელმა შუშხუნამ. ეს იყო ნიშანი. ერთი წუთიც და დაიგრიალეს ქვემეხებმა. დაიწყო ცეცხლითი თავდასხმა. „მოწინააღმდეგის" ტრანშეა და მავთულლობურები ადეთქების სქელ ბოლში გაეხვია. ჭურვები ხმაურით გადადიოდნენ თავზე. ამოქმედდა ნაღმსატყორცნები და პირდაპირი დამიზნების ქვემეხები.

უფრ. ლეიტენანტ მაჭავარიანის ასეული მარჯვენა ფლანგზე იყო განლაგებული. მებრძოლები თვალმოუცილებლივ შესცქეროდნენ „მოწინააღმდეგის" თავდაცვას, სადაც ზედიზედ გამოდიოდა მწყობრიდან საცეცხლე წერტები, ინგრეოდნენ მავთულლობურები და სხვა სიმაგრეები.

ჰაერში გუგუნი გაისმა, ყველამ ზევით აიხედა. „მოწინააღმდეგის" თავდაცვისაკენ შურდულივით მიექანებოდნენ ბომბდამშენები და გამანადგურებლები. სწრაფად გადაუარეს მათ „მოწინააღმდეგის" ტრანშეებს და ჩამოჰყარეს ბომბები.

ქვემეხებმა და ნაღმსატყორცნებმა რამდენიმე ადგილას გაარღვიეს მავთულლობურები. უფროს სერჟანტ ლზეირანოვის და სერჟანტ სასკოვის გუნდებმა პირდაპირი დამიზნებითი სროლით ჩააჩუმეს „მოწინააღმდეგის" ორი ძელმიწური საცეცხლე წერტი.

ჰაერში ავარდნენ მწვანე შუშხუნები. ზურგიდან მოისმა მოტორების გამაყრუებელი გუგუნი. დაიძრნენ ტანკები.

უფრ. ლეიტენანტმა მაჭავარიანმა გასცა ბრძანება: „მოემზადეთ!"

ამუშავდნენ დაზგის ტყვიამფრქვევები. ველიზე გადასული ტანკები მწყობრად და მაქსიმალური სისწრაფით მიიწევდნენ წინ. ორი ტანკი უფრ. ლეიტ. მაჭავარიანის ტრანშეებს გაუთანასწორდა, და როცა მათ უკვე გაიარეს ქვეითთა საბრძოლო რიგები, ასეული ამოვიდა ტრანშეიდან და კვალდაკვალ მიჰყვა ტანკებს. მსროლელები, მეტყვიამფრქვევეები, მათ შორის ლეიტენანტ გოცირიძის მეავტომატეთა ოცეული ჩამოურჩენლად მიჰყვებოდნენ ტანკებს, შეუჩერებლივ ესროდნენ „მოწინააღმდეგეს". ამავე დროს არტილერია და ნაღმსატყორცნები ცეცხლის ტალღით მხარს უჭერდნენ შეტევაზე გადასულ ასეულის წინსვლას.

შეუნელებელი მოძრაობით ასეულმა გადალახა „მოწინააღმდეგის" პირველი, მეორე და მესამე ტრანშეა. მაგრამ ტრანშეების გარდა ჯერ კიდევ აქტიურობდნენ მისი ცალკეული დასაყრდენი პუნქტები და საცეცხლე წერტები. ასეული გამაგრდა მიღწეულ ხაზზე. თავდაცვის სიღრმეში „მოწინააღმდეგის" გასანადგურებლად ამოქმედდნენ მეორე ეშელონში მყოფი ქვეგანაყოფები.

მეცადინეობა კარგად იყო ორგანიზებული და წარმატებით ჩატარდა. ასეულმა სარდლობისაგან მადლობა დაიმსახურა.

უფრ. ლეიტენანტი აკ. სურგულაძე.

# საზღვარგარეთ

## ომი წყნარ ოკეანეში

### მოკავშირეთა ჯარები კუნძულ ბორნეოზე გადასხდნენ

**ლონდონი**, 12 ივნისი. (სატასი). როგორც როიტერის სააგენტო გადმოგვცემს, წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბი იუწყება, რომ 10 ივნისს ავსტრალიის მე-9 დივიზიის ნაწილები ჯრისა და იმავე დროს გადასხდნენ კუნძულ ლაბუანზე (კუნძულ ბორნეოს ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო რაიონში), აგრეთვე ბრუკეტონსა და მაორაში, ბრუნეის ყურის რაიონში (კუნძული ბორნეო).

მოკავშირეთა ავიაცია და ტორპედიანი კატერები განაგრძობენ ოპერაციებს კუნძულ ბორნეოს სანაპიროსთან.

**ვაშინგტონი**, 12 ივნისი. (სატასი). ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის შტაბი იუწყება, რომ 11 ივნისს ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა კუნძულ ოკინავაზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. კუნძულზე მოქმედი ამერიკელთა ჯარების სარდალმა წინადადება მისცა იაპონელებს დანებდნენ.

## იაპონიაზე ამერიკის ავიაციის თავდასხმების შედეგები

**ნიუ-იორკი**, 12 ივნისი. (სატასი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, მაისში ამერიკის „მფრინავი ციხის“ მარკის ზემძლავრი ბომბდამშენები მონაწილეობდნენ 54 ოპერაციაში და მოსპეს ან დაანგრიეს ტოკიოში, ნაგოიაში, ხამამაცუსა და იოკოჰამაში რაიონი, რომლის საერთო ფართობიც 36 კვადრატულ მილს აღემატება. მაისში „მფრინავმა ციხეებმა“ ჩამოაგდეს იაპონიის 131 ავიაგამანადგურებელი და, ალბათ, ჩამოაგდეს კიდევ 82. ამერიკის ავიაციამ დაჰკარგა მაისში 40 და ივნისში 21 „მფრინავი ციხე“.

განვლილი 6 თვის მანძილზე „მფრინავი ციხეები“ მონაწილეობდნენ 172 ოპერაციაში და მოსპეს ან დაანგრიეს 56 კვადრატულ მილზე მეტი ფართობის რაიონი ტოკიოში, 12 კვადრატულ მილზე მეტი ნაგოიაში, 8 კვადრატულ მილზე მეტი იოკოჰამაში, 8 კვადრატულ მილზე მეტი ოსაკაში, 3 კვადრატულ მილზე მეტი ნაგასაკიში და 3 კვადრატული მილი ფართობის რაიონი კობეში.

# ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში

## მესანგრეთა შეკრებაზე

ჩვენს ქვეგანაყოფში ჩატარდა სერჟანტების ექვსდღიანი შეკრება. შეკრების მიზანი იყო სერჟანტთა კვალიფიკაციის ამაღლება და სასანგრო საქმეში სამამულო ომის ფრონტელთა მდიდარი საბრძოლო გამოცდილების გაზიარება.

შეკრებას ხელმძღვანელობდა უფროსი ლეიტენანტი ფერუშაგინი და ლეიტენანტი ცაციშვილი. სერჟანტები გულმოდგინედ მეცადინეობდნენ ბრძოლის ველის დანაღმვისა და ნაღმიანი ველების გაუვნებლების, თავდაცვის დროს ხელოვნური დაბრკოლებების მოწყობის, გერმანული ტიპის ნაღმებისა და სხვ. შესწავლის საქმეში. რამდენიმე პრაქტიკული მეცადინეობა ჩატარდა მტრის ზურგში წითელი არმიის გმირული შეტევისას მესანგრეთა საბრძოლო გამოცდილებათა გათვალისწინებით.

შეკრების ბოლო დღეებში სერჟანტებმა გამოცდა წარმატებით ჩააბარეს. შეკრების ყველა მონაწილემ მაღალი შეფასება მიიღო.

უმც. სერჟანტი გ. ბესოშვილი.

## პარტორგთა სემინარი

ამასწინათ ჩვენს ნაწილში ჩატარდა პარტორგთა სემინარი, რომელიც მიეძღვნა სიფხიზლის ამაღლების საკითხს. მოხსენებით გამოვიდა [illegible]. მან დაწვრილებით ილაპარაკა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წითელ არმიაში სიფხიზლის კიდევ უფრო გაძლიერების საქმეს.

გარდა ამისა, სემინარზე განხილულ იქნა საკითხი პარტიული შეკრებების მომზადების შესახებ. [illegible] პარტორგებს [illegible] საქმეში.

ნაწილის პარტორგი

ზემდეგი ვ. იობიძე

## საყარაულო სამსახურს კარგად ასრულებენ

ოფიცერ ა. [illegible] ქვეგანაყოფში დიდი ყურადღება ექცევა საყარაულო სამსახურის შესრულებას. აქ მებრძოლებს სისტემატურად უტარდებათ ინსტრუქტაჟი, აწვდიან გუშაგის უფლება-მოვალეობებს.

[illegible] შესანიშნავად ასრულებენ საყარაულო სამსახურს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან მებრძოლები [illegible], [illegible], [illegible] და სხვ.

წითელარმიელი ა. ლუხუტაშვილი



**ლენინგრადი დღეს.** ნევის სანაპირო ქუჩაზე.

ფოტო ბ. ლოსინის (სატასის ფოტოქრონიკა).

ოთხშაბათი

13

ივნისი

1944 — მოკავშირეთა ჯარებმა ჩრდილოეთ საფრანგეთში დაიკავეს ქალაქები ბალერუა და მონტებური.

1891 — გარდაიცვალა ნ. ნ. გე — გამოჩენილი რუსი მხატვარი (დაიბადა 1831 წ.).

# ნარევი

## მოსკოვის კრემლი

მოსკოვის კრემლი XV საუკუნის დასასრულს ყველაზე დიდი ციხე-სიმაგრე იყო იმდროინდელი ევროპის სიმაგრეთა შორის.

## ობობა „შავი ქვრივი“

ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ ნაწილში ობობა „შავი ქვრივი“ „საზოგადოების მტრად“ ითვლება და მისი დაუნდობლად მოსპობისათვის ყველა ზომებია მიღებული. ამ ობობამ თავისი არაჩვეულებრივი სახელწოდება მიიღო იმიტომ, რომ დედალი ობობა ქორწინებიდან მოკლე ხნის შემდეგ ჰკლავს მამალ ობობას და ცხოვრობს მარტო თავის მეჩხერ, თითქოს უხეიროდ გაკეთებულ [illegible]ში.

უძველეს დროიდან, ინდოელები, რომლებიც წყნარი ოკეანის ნაპირებზე ცხოვრობდნენ, თავიანთ ისრებს წამლავდნენ ობობა „შავი ქვრივის“ გამხმარი სხეულისაგან დამზადებული პასტით. ამგვარად მოწამლული ისარი რამდენიმე წამის განმავლობაში ჰკლავს მსუბუქად დაჭრილ ნადირსაც კი. „შავი ქვრივის“ შხამი უფრო მომაკვდინებელია, ვიდრე ჩხრიალა გველის შხამი.

## პირველი სატელეგრაფო ხაზი

პირველი სატელეგრაფო ხაზი მსოფლიოში, რომელიც გაყვანილ იქნა პეტერბურგში 1832 წელს, აერთებდა ზამთრის სასახლეს გზათა სამინისტროსთან.

სამეცნიერო-საგანმანათლებლო თემაზე

# რა არის სიზმარი*

აკადემიკოსი დ. ნ. უზნაძე

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ, ამ თეორიის მიხედვით, სიზმრის აღმოცენება? იმანენტურ თეორიას მრავალი ვარიანტი აქვს და თვითეული მათგანი თავისებურად სწყვეტს, სხვათა შორის, ამ საკითხსაც. მკვლევართა ერთი ჯგუფი იმ აზრისაა, რომ ისე, როგორც ჩვენი ყოველდღიური სიფხიზლის ცნობიერების შინაარსი, სიზმარიც ჩვენი გრძნობის ორგანოების აქტუალური მდგომარეობის შედეგად წარმოიშვება. განსხვავება აქ მხოლოდ ისაა, რომ პირველ შემთხვევაში გრძნობის ორგანოების აქტივობას მასზე ამჟამად მოქმედი გამღიზიანებლები განსაზღვრავენ, მეორე შემთხვევაში კი, ეს აქტივობა ავტომატური წარმოშობისაა: ძილის დროს ჩვენი გრძნობათა შინაგანი და გარეგანი ორგანოები გარემოს ზემოქმედებისაგან შედარებით თავისუფლები არიან და იმისდამიხედვით, თუ როგორია მათი მდგომარეობა ამჟამად, თვითონვე იწყებენ ავტომატურად ფუნქციობას. ასე ჩნდება სიზმარი, რომელიც თანახმად ამ თეორიისა, **განსაზღვრულია აწმყოთი და არა მომავლით**, როგორც ეს ტრანსცენდენტური თეორიის მომხრეებს ჰქონდათ წარმოდგენილი.

სიზმრის იმანენტური თეორიის მეორე ვარიანტით, **წარსულის** ცნება ასრულებს გადამწყვეტ როლს. ამ თეორიით, ყოველ ადამიანს თავის წარსულში მრავალი სხვადასხვა განცდა ჰქონია. ამ განცდათაგან ზოგი ერთთან არის განსაკუთრებით მტკიცე ასოციაციური ძაფით დაკავშირებული და ზოგი მეორესთან. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეულ მათგანს ყოველ მოცემულ მომენტში მტკიცე ტენდენცია აქვს, გამოიწვიოს ცნობიერებაში ის განცდა, რომელთანაც ის განსაკუთრებით მტკიცე კავშირში იმყოფება. და აი, როდესაც ჩვენ გვძინავს და თითქმის არც ერთი აქტუალური გამღიზიანებელი არ გვაწუხებს, როდესაც თითქმის თავისუფალი ვართ ზეგავლენისაგან, დგება ხელსაყრელი მომენტი, რომ მტკიცე ასოციაციურად დაკავშირებულმა განცდებმა, რომელიც ჩვენ განსაკუთრებით ღრმად გვქონია **წარსულში** განცდილი, დაუბრკოლებლივ იჩინონ თავი. მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვით, ძილში ხელსაყრელი პირობები გვაქვს იმისათვის, რომ ცნობიერებაში ასოციაციურად დაკავშირებულმა წარმოდგენებმა იჩინონ თავი და გაჩნდეს სიზმარი. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ, ცხადია, რომ ამ თეორიის მიხედვით სიზმრის შინაარსი სავსებით **წარსულით** არის განსაზღვრული: სიზმარი მძინარე სუბიექტის წარსულში შემთხვევით ასოციაციურად დაკავშირებული განცდების რეპროდუქციას წარმოადგენს. ამიტომ ცხადია, სიზმარს არ შეიძლება რაიმე მაღალი აზრი, მაღალი დანიშნულება ჰქონდეს, როგორც ეს ტრანსცენდენტურ თეორიას სწამს. მასში წარსულში შემთხვევით დაკავშირებული წარმოდგენები ცოცხლდება უბრალოდ იმის გამო, რომ ძილში ასოციაციური ტენდენციის ამოქმედებას არაფერი უშლის ხელს.

რა გინდ განსხვავებულ მეცნიერულ თვალსაზრისითაც უნდა გვქონდეს საქმე, ერთი რამ მაინც ყველას უდაოდ მიაჩნია, სახელდობრ ის, რომ სიზმარს არაფერი აქვს საერთო რაიმე „უმაღლეს არსებებთან“, „სულებთან“, რომელნიც თითქოს ძილის დროს უკავშირდებიან ადამიანს და თავის რჩევასა და ნებას სიზმრის საშუალებით აცნობებენ მას.

მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის მიხედვით ყველაზე უფრო სწორი წარმოდგენა სიზმრის შესახებ, ჩვენი აზრით, ასეთი იქნებოდა: მართალია, როცა ადამიანი იძინებს, ის ზომებს ღებულობს, რათა გარე სინამდვილემ რაც შეიძლება ნაკლებად იმოქმედოს მასზე, მაგრამ ამის მიუხედავად მისი გრძნობის ორგანოები მაინც განიცდიან, მეტად თუ ნაკლებად, გარე გამღიზიანებელთა ზემოქმედებას — ბგერის ტალღები მაინც აღწევენ მის ყურს და სინათლის შუქი — მის დახუჭულ თვალებს. კიდევ უფრო ლიაა გარეგამღიზიანებლების ზემოქმედებისათვის მისი ყნოსვისა და შეხების ორგანოები... ერთი სიტყვით, უდაოა, რომ გარემო ძილის დროსაც იწვევს ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენი გრძნობის ორგანოების გაღიზიანებას, მაგრამ უეჭველია, რომ არაა საკმარისი გრძნობის ორგანოს მარტო გაღიზიანება, რათა ამის შედეგად ფსიქიკაში შესატყვისი შინაარსი, განცდა გაჩნდეს. მაგალითად, არაა საკმარისი ჩვენს ყურზე, ობიექტურად რაიმე ხმაური მოქმედებდეს, რომ ეს ხმაური გვესმოდეს კიდეც; ე. ი. იგი სუბიექტურადაც გვქონდეს მოცემული. იმისათვის, რომ ჩვენი გრძნობის ორგანოებზე ობიექტურად მოქმედი გამღიზიანებლები სუბიექტურადაც განიცდებოდნენ, რომ მათ ჩვენს ცნობიერებაში სათანადო ასახვა ჰპოვონ, აუცილებელია რაიმე მხრივ ეს საინტერესო იყოს სუბიექტისათვის. უამისოდ ჩვენი ფსიქიკა, საზოგადოდ, არ მუშაობს.

(გაგრძელება იქნება)

* იხ. დასაწყისი № 69

პ/მგ. რედაქტორი ი. ლაპრუხინი

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. დარასელი